№ 126
შაბათი, 17 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 126
შაბათი, 17 ივნისი 1895

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის **წლიური კრება** დანიშნულია 20 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:
1) 1894 წლის ანგარიში;
2) არჩევა მმართველობის წევრებისა;
3) არჩევა სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრებისა;
4) 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5) მიღება ახალის წევრებისა;
6) განაწილება დივიდენდისა.

ГОДИЧНОЕ СОБРАНІЕ членовъ Кутаисскаго Издательскаго Товарищества назначено 20 іюня, въ 7 часовъ вечера, въ помѣщеніи Дворянскаго Банка.

Предметы занятій:
1) Отчетъ 1894 года;
2) Выборы членовъ правленія;
3) Выборы членовъ редакціонной и ревизіонной комиссій;
4) Смѣта за 1895 годъ;
5) Пріемъ новыхъ членовъ;
6) Распредѣленіе дивиденда.
(3—6—2)

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ახალი ამბავი

*** ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისში გზად გამოიარეს გერმანელ გამოჩენილ ექიმებმა ლეიდენმა და ნოტნაგელმა. რასაკვირველია, აქაურ ავად-მყოფებს სასიამოვნოდ დაურჩათ იმისთანა შემთხვევა. სხვა ავადმყოფთა შორის ექიმის სანახავად მივიდა ერთი ქართველი თავადიშვილი შ-ძე. სანამ ექიმის კაბინეტში შეიყვანდნენ, წინა ოთახში ფული გადაახდევინეს. ექიმმა დაუწყო ავადმყოფს გასინჯვა და ჯერ კიდევ რჩევა არ მიეცა, რომ დაეკითხა:

„რამდენი გადიხადეთ ფულიო?

— „ოცდა-ხუთი მანეთი,“ მიუგო ავადმყოფმა.

„როგორ შეიძლება, სანამ 75 მან. კიდევ არ შემოიტანთ, არ გაგსინჯავთო, უთხრა ექიმმა.

— „მე მომთხოვეს 25 მან. და გადვიხადეო“, უპასუხა ავადმყოფმა.

„არა, მიუგო ლეიდენმა, სანამ 100 მანეთად არ შეასრულებთ, არ შეიძლებაო“.

მაშინ ავად-მყოფი წამოდგა დაგამობრუნდა ამ სიტყვებით:

„აქ ვაჭრები ყოფილხართ და არა პროფესორებიო“, და აღელვებული წავიდა შინისაკენ. ექიმებმა ფაიტონი უკან დაადევნეს დასაბრუნებლად, მაგრამ თავადმა შეუთვალა:

„მირჩევნია ასე დავრჩე ჩემის სენით და თქვენგან განკურნება არ მინდაო.

როგორცა ჩანს დიდი ნიჭი და დიდი ანგარება შესაძლებელი ყოფილა რომ ადვილად მოთავსდნენ ერთიერთმანეთთან.

*** 12 ივნისს ეგზამენები დასრულდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. სულ ამ წელს სწავლა გაათავა 21 მოწაფემ. მათგანი, როგორც უკვე გამოცხადებული იყო „ივერიაში“, სამი იგზავნება აკადემიაში. ერთი-კი ი. ვართაგავა, რომელიც პირველი კანდიდატი იყო აკადემიაში გასაგზავნად, სემინარიის მმართველობამ სცნო უვარგისად და დატოვებული იქმნა, მისდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. ეხლა-კი ნამდვილ წყაროებიდგან გავიგეთ, რომ ამავე სემინარიის ინსპექტორს ჰერმოგენს უკისრნია ყაზანის აკადემიაში ამ სტუდენტის თავისს ხარჯით გაგზავნა.

მაისის 25-ს ბათუმის საზოგადო საკრებულოში გამართული იყო საღამო აქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ. შემოვიდა 818 მ. 90 კ.; ხარჯი იყო 242 მ. 87 კ. დარჩა სკოლას 576 მ. 3 კ.

სკოლის მზრუნველი კომიტეტი ვალად რაცხს მადლობა მოახსენოს ყველას, ვინც-კი მიიღო მონაწილეობა ამ საღამოს გამართვაში, მხოლოდ განსაკუთრებით ბ-ნ მაციევიჩს, რომელმაც არავითარი შრომა არ დაიშურა ცოცხალის სურათების გამართვისათვის.

*** ქ. ფოთი: 9 ამა ივნისისას და იმის წინა დღეებში დიდის ქარიშხლების გამო ძლიერი ღელვა იყო შავ ზღვაზედ. ვინ მოიფიქრებდა, თუ ასეთ დროს აქაურ ნავთ-სადგურში რომელიმე ხომალდი შემოსვლას გაბედავდა და უვნებელი დარჩებოდა. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ფოთის ნავთ-სადგური იმდენად საშიში და სახიფათო არ ყოფილა, როგორც ჰფიქრობენ კაპიტნები ზოგიერთის ხომალდებისა, როცა ეს ვაჟბატონები კარგ დარშიაც გვერდზედ აუვლიან ხოლმე ფოთს. ეს ცხადად დამტკიცდა ზემოხსენებულს დღეს, როცა ნავთ-სადგურში სრულიად მოულოდნელად შემოვიდა ხომალდი „ფლორა“ ხომალდი უვნებლად გავიდა ნავთ-სადგურიდგან.

*** გამოვიდა მე-8 № გაზ. „მეურნესი“ შემდეგის შინაარსით:

I, სითბო და მისი სარგებლიანად მოხმარება მრეწველობაში და ოჯახობაში, პროფესორისქვასილ პეტრიაშვილისა. II, აბრეშუმის ჭიის სნეულებანი, ოლიმპიადა მკურნალისა. III, მანქანა, როგორც ფაქტორი წარმატებისა, თარგმანი მ. ცხაკაიასი. IV, წესდება ამიერ-კავკასიაში მიწების სარწყავად წყლით სარგებლობისა. V, პროექტი ოზურგეთში დასაარსებელის მომხმარებელის საზოგადოებისა. VI, „მეურნის“ მატიანე. VII, განცხადება.

*** კვირას, 18 ივნისს, მუშტაიდში გამართული იქნება სამხედრო ხოროთა კონცერტი გარდაცვლებულის კაპელმეისტერის რიზენის ქვრივ-ობლების სასარგებლოდ.

*** 22 ივნისს ქ. ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ მამულების საჯაროდ ვაჭრობა მოხდება („ნოვ. ობოზ.“).

*** ოლდენბურგის პრინცს და თავადს მინგრელიისას, გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, უთხოვნიათ, მიეცეთ ნება თავისის ხარჯით გამოიკვლიონ ადგილი რკინის გზის გასაყვანად კავკავის რკინის გზის სადგურ პროხლადნოიდგან ქ. ზუგდიდისკენ ფოთამდის რკინის გზა მდინარე ბაქსანისა და ენგურის ხეობაზედ გაივლის, კავკასიონის ქედს ელბრუსის ახლოს გადასჭრის.

*** გზათა უწყების სამინისტრომ დაამტკიცა პროექტი შესახებ ანაპის ნავთ-სადგურისა და უკვე ამ დღეებში გადაიდვა ნავთ-სადგურისათვის საჭირო ფული.

*** რაჭა: აქ წელს შიმშილობაა. უკანასკნელ სამი-ოთხის წლის მოუსავლობაში მთლად გაწყდა წელში გლეხ-კაცობა. ეხლა წლის სარჩო თითქმის ყველას გამოლეული აქვს

## ფელეტონი

„Madame Sans-Gêne“.
(მადამ სან-ჟენ)
ოთხ-მოქმედებიანი კომედია
ვ. სარდუსი და მოროსი.
(შემდეგი *).

### გამოსვლა 6.

კატრინ და ლეფევრი.

კატრინ. (იცვამს) წარმოიდგინე... ლერუას აღკრძალული აქვს იმპერატრიცას ტანზედ კაბა მოარგოს... სასაცილო არ არის?

ლეფევრი (მკაცრად) არაფერი სასაცილო არ არის აქ!

კატრინ (გაკვირვებით) რას იღმიჭები? რა დაგმართნია? საიდგან მოდიხარ?

ლეფევრი. (ხელთათმანებს იხდის) მე და იმპერატორმა ეხლა ვისადილეთ იმის კაბინეტში. სულ მარტო ვიყავით!..

კატრინ. იმიტომაც დამზგავსებიხარ საიქიოდგან მოსულს?

ლეფევრი. პირველად უნდა გითხრა, რომ სოცარი სადილის ჭამაიცის იმპერატორმა... ყველაფერი ერთად შემოაქვთ და ისიც დომხალივით არევს საჭმელებს ერთმანერთში, კომპოტს წვნიანს შემდეგ სჭამს, თევზეულობას ხილის შემდეგ, მერე ყველს და შემწვარს და ამ რიგად ათის წამის განმავლობაში სადილსაც ბოლოს მოუღებს. ვერაფერი მოვასწარი, ცხელმა წვენმა ენა დამწვა, თევზის ძვლით კინაღამ დავიხრჩვი და მშიერიც ვარ, ძაღლივით... რას იცინი? მოგწონს?

კატრინ (იცინის) როგორ, სასაცილო არ არის?

ლეფევრი. (მაგიდას მიუახლოვდება) მაგრამ რაც ნასადილევს ჩვენს შორის მოხდა, ის-კი აღარ მოგეჩვენება სასაცილოდ; სადილისთვის-კი არ მივუწვევივარ, თურმე შენზედ უნდოდა მომლაპარაკებოდა!

კატრინ. ჩემზედ?

ლეფევრი. დიაღ, სულ შენ შესახებ გვქონდა ბაასი.

კატრინ. დიდად ვაფასებ! მაგრამ ჩემ შესახებ ამდენი საბაასო რა გქონდათ?

ლეფევრი. იმპერატორს სრულიად არ მოსწონს შენი საქციელი, შენი მიხვრა-მოხვრა.

კატრინ. მერე რა ისეთი განსხვავებული საქციელი მე მაქვს?..

ლეფევრი. საქმეც იმაშია, რომ შენ არავითარი საქციელი არა გაქვს! აბა რასა ჰგავს ესა?!—შემოვდივარ და შენ-კი, თითქმის შიშველი ტიკტიკობ მკერვალთან...

კატრინ. კაბას ვირგებდი ტანზედ.

ლეფევრი. ტიტველი ხელებით და გულ-მკერდით?..

კატრინ. ახლა-კი არა და როდესაც თქვენ ახალ-მოდაზედ ჩავიცვამ, მაშინ-კი მართლა შიშველი ვიქნები!..

ლეფევრი. მაშინ საზოგადოებაში იქნები... ვთქვათ ეგ სისულელეა, მაგრამ აი რა არის ცუდი: შენ ყველასთან და ყველგან პურტყულობ ათას გვარ სისულელეს და ამის გამო სასაცილოდ გიღებენ.

კატრინ. ძალიან არ ვაქცევ ამას ყურადღებას!!.

ლეფევრი. გაიგე, რომ ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, როგორც ბრძანებს იმპერატორი, წესიერება უნდა დავიცვათ და არ შევიბღალოთ სახელი... შენ-კი, აბა, რა რიგად ლაპარაკობ? სადა გაქვს ზრდილობა, წესიერება? სულ არ გახსოვს, ეშმაკმა წაიღოს, რომ უგანათლებულესს გეძახიან? და ნუ-თუ არ შეგიძლია იმ კილოთი ილაპარაკო, ისე ზრდილობით, როგორც სასახლეში ლაპარაკობენ... რა ჭირს გადაეკიდე!

კატრინ. მერე, ვისგან ვისწავლო ეს ზრდილობა მიბრძანე, შენგან თუ?

ლეფევრი. მე რა... მეტი არც მომეთხოვება... მე ჯარის-კაცი ვარ... ეს იმპერატორსაც ესმის... მაგრამ შენი საქმე სულ სხვაა, რაც უნდა იყო, მაინც მაინდილოსანი ხარ!!.

კატრინ. კარგია ერთი!!. შენ ის მოჰყევი... რა გითხრა?

ლეფევრი. თქვენმა ცოლმა თავის დაჭერა არ იცისო... ამის მოთმენა აღარ შეიძლებაო... თქვენს ცოლს დასცინიანო... ყოველთვის ეგრე მოხდება ხოლმე, როდესაც სერჟანტობის დროს ქალს შეირთავ და მერე მარშალი და ღენერალი გახდებიო... მაგრამ საბედნიეროდ საშუალებაც არისო... უნდა გაიყარნეთო!..

კატრინ. (შეშინებული) რაო?

ლეფევრი. რასაკვირველია, ქალბატონ ლეფევრს საკადრისს მდგომარეობას მივანიჭებთო... ჯილდოს ყოველ-წლიურად დავუნიშნავთო... ჩქარა მოელაპარაკე და ორის კვირის შემდეგ ყველაფერი გაათავეთო!..

კატრინ. და ეს ყველაფერი ისე პირდაპირ, მოურიდებლად წამოროშა რაღა?

ლეფევრი. რის მორიდება? ბრძანა და გათავდა!.. (სიჩუმე ჩამოვარდება).

კატრინ. (თვალს ადევნებს) მერე!.. შენ რა უპასუხე?..

ლეფევრი. ჯერ შენ მითხარ, შენ რას უპასუხებდი ჩემს ალაგას?..

კატრინ. მეე?

ლეფევრი. დიაღ შენ... რაკი გაყრაზედ, საჩუქრებზედ, ჯილდოზედ ლაპარაკს დაგიწყებდა... აბა, რას ეტყოდი?

კატრინ. (წამოდგება) რას ვუპასუხებდი? მე ვეტყოდი: არ მსურს არც თქვენი სასახლეები, არც თქვენი ჯილდო... მე ლეფევრი მყავს და მით კმაყოფილი ვარ!.. როდესაც ვისმეს სიღარიბეში შეიყვარებ, ჭირსა და ლხინს ერთადა სწევთ, როდესაც ცრემლებს დააფრქვევ პირველ მისს ჭრილობაზედ და აღტაცებით მიეგებები პირველს გამარჯვებას, მაშინ იმას ვერავინ გამოგგლეჯს ხელიდგან. ჩვენმა წარსულმა ჩვენ ერთ-ხორც, ერთ-სულად გარდაგვქმნა და თუნდ შუაზედ გაგვჩეხეთ—მაინც ერთად შევიზრდებით!.. აი რას ვეტყოდი მე იმას და შენც ესვე უნდა გეთქვა, თუ მკერდში გული გიძგერდა!!. (ცრემლი მოსდის).

ლეფევრი. სწორედ, იმიტომ რომ გული მიძგერს, მეც ეგრე მოვახსენე...

კატრინ. (სიხარულით მივარდება) ოჰ, შე ავო, შენა!.. რატომ წინდაწინვე არ მითხარი? ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, ჩემო მარგალიტო!.. აბა, მოჰყევი დაწვრილებით... (დასხდებიან) მერე, მერე?

ლეფევრი. მერე... იმპერატორი მოიღუშა!..

კატრინ. რასაკვირველია! მერე?

ლეფევრი. მერე... დამიყინა, უსათუოდ გადაეცი ჩემი სურვილიო. მე მოვახსენე: შემიბრალეთ ხელმწიფეო, ნურაფერს მათქმევინებთ ჩემის ცოლისათვის, თორემ ვიცი თვალებს გამომკაწრის-მეთქი...

კატრინ. ნამდვილია, ნამდვილი... მე კიდეც განვიზრახე ეგ...

*) იხ. „ივერია“ № 125.

და თითო-ოროლა კოდის სიმინდიც სყიდვით ძლივ-ძლივობით გამოდიან იოლად. კოდი სიმინდი ოთხ აბაზის მაგიერ ორ მანეთად ისყიდება. პური უფრო იაფია. ესრედ წოდებული „ოდესის“ პური (ფქვილად) მიაქვთ ტყიბულს და კოდი ორ მანეთ ნახევარსა სამ მანეთს ზევით არ ადის. წელს მოსავალს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს, მაგრამ ვინ იცის შემდეგში რა იქნება.

*** აგვისტოში კავკასიის მინერალურს წყლებზედ მოელიან საფრანგეთის კომპანიას, რომელსაც ვიშის წყლები აქვს აღებული. განუზრახავთ, ამ კომპანიას გადასცენ კავკასიის მინერალური წყლები, რისთვისაც უკვე შედგენილია პროექტი. სამიწათ-მოქმედო სამინისტროს ამ საქმეზედ მოლაპარაკება აქვს ვიშის ადმინისტრაციასთან. ფრანგულს ენაზედ გადათარგმნილია ოფიციალური და კერძო გამოკვლევანი კავკასიის სამკურნალო ადგილებისა. ეს გამოკვლევანი გეგმებით, რუკებით და სტატისტიკურ ცნობებით ფრანგებს გადაეცათ. ვიშის წყლების გამგენი უკვე მოდიან კავკასიაში, რათა ადგილობრივ შეისწავლონ სამკურნალო წყლები.

კისლოვოდსკი: 11 ივნისს, ღამის $2^1/_2$ საათი იყო, როცა ექიმი ბ-ნ აბალიანსკი თავისს ოთახში იწვა გახდილი ქვეშსაგებში და წიგნსა კითხულობდა. ლამპარი ანთებული ჰქონდა. ამ დროს უცებ გაიღო მისის საწოლ ოთახის კარი და ორი შეიარაღებული რუსი თავს დაადგა რევოლვერით.—„ჩქარა სთქვი, სადა გაქვს ფული შენახული ბ ნივთები, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო, უთხრეს თურმე. ექიმი გონება-დაბნეული დაჰმორჩილდა და უთხრა—ოღონდ ნუ მომკლავთ და წაიღეთ, რაც რამ არის ჩემს სახლშიო. ქურდებმა არხეინად ჩაილაგეს ჯიბეებში ყველა კარგი ნივთები, ვერცხლეული, თუ სხვა და დამშვიდებულნი გაუდგნენ გზას. მეორე ოთახში მისი მეუღლე იყო და მესამეშიაც მოსამსახურე. ამათ არა გაუგიათ-რა, სანამდის ექიმმა აბალიანსკიმ თითონ არ უამბო თავისი თავგადასავალი. ხსენებულ ავაზაკების აღმოსაჩენად სასტიკი საშუალებაა მიღებული, ექიმი ამბობს, ავაზაკები რუსები იყვნენო.

*** პიატიგორსკი: ამ ჟამად აქაურ წყლებზედ 3000 სულამდის ადამიანია მოსული სააგარაკოდ. ერთობ შეგვაწუხა წვიმებმა და მოსავალსაც ძალიან აზარალებს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ფ. ა. ბიკოვი 17 ივნისს კახეთში მიდის სიღნაღთელავისა და სხვა სასამართლოების სარევიზიოდ. ბ-ნი ფ. ა. ბიკოვი ტფილისში დაბრუნდება ივლისის პირველს რიცხვებში, ამის თანამდებობას აასრულებს საპელაციო განყოფილების თავმჯდომარე, მისი ამხანაგი ს. ი. ელენინი.

*** გუშინ, 16 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ხელმეორედ ვაჭრობა მოხდა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ფარნებით განათების იჯარით გასაცემად. იჯარა დარჩა ვასილ ბარსამოვს ორის წლის ვადით, თითო ფარანი 8 მან. 40 კაპ. წელიწადში. ხოლო იჯარა ქალაქისავე განათებისა განკარგებულის სისტემის ფარნებით დარჩა უწინდელსავე მოიჯარადრეს აგაბეკოვს, თითო ფარანი 20 მან. ქალაქის საბჭოს საქმე ამა ვაჭრობის შესახებ 19 ივნისს წარედგინება მისდა დასამტკიცებლად.

*** ყველამ უწყის, რომ ტფილისში 1881 წლიდგან თეატრი შენდება და აქამდის აშენება ვერ ეღირსა. ხან ფული აკლდებათ, ხან რა მიზეზი ეღობებათ წინ და დღემდის თეატრის შენობა დაუმთავრებელია. ეს შენობა თეატრისა მილიონზედ მეტი ჯდება და 700,000 მან. უკვე დახარჯულია. მთავარ-მართებელმა უკვე მისწერა აღმაშენებელს კომისიას, რომ მომავალ წლის სექტემბრის თვისათვის თეატრი უეჭველად მზად იყოსო. ასეთის მიწერილობის გამო კომისიამ აიჩქარა შენობის დამთავრების საქმე. სცენის მომართვასა და მოწყობას საცაა დაამთავრებენ და ამ ახლო ხანებში შეუდგებიან დარბაზის შიგნიდგან გამშვენიერებას. სათეატრო ავეჯეულობა და მოწყობილობა უკვე შეკვეთილია ტფილისში და მზადდება კიდეც. ამ დღეებში დააქცევენ იმ ძველს შენობას, რომელიც ახალის თეატრის ჩრდილოეთ მხმარეს იმყოფება და რომელშიაც თეატრის აღმაშენებელი კომისიაა მოთავსებული.

---

## ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

**ᲙᲘᲪᲮᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ,** (შორაპნის მაზრა). ს. ვარძიაში იმყოფება მონასტერი „კიკოსი“, რომელიდაც საუკუნეში ეს ტაძარი თავისის მრევლით უბოძებია იმერეთის მეფეს ბერძნის კიკოს მონასტრისთვის (კუნძულ კიპროსზეა) და იმ დღიდგან მოკიდებული დღემდის ბერძნები ჰფლობენ. კიპროსიდგან იგზავნება არქიმანდრიტი ვექილი, რომელიც განაგებს მონასტრის საქმეებს: ჰკრებს ხარკს გლეხებისაგან, აძლევს იჯარით მამულს და სხვ. თითქმის ყველა არქიმანდრიტები დიდს გულ-მხურვალეობას იჩენდნენ ეკკლესიის გამშვენიერებისათვის და არ იშურებდნენ თავიანთს შრომას. მათში ყველაზედ უფრო შესანიშნავი იყო განსვენებული არქიმანდრიტი იონიკიოზი, რომელმაც შეამკო დედა-მღვთისას ხატი (ეს ხატი ისტორიულად იმითია შესანიშნავი, რომ მოსვენებულია ვარძიის მონასტრიდგან და ეწოდება იგივე სახელი—ვარძია — სოფელსაც). განაახლა სამრევლო, გამოუცვალა სახურავი, ჯვარი ძელისა გააკეთებინა და სხვა მრავალი გულშემატკივრობა გაიჩინა ეკკლესიის განახლებაში. წავიდა ის ბერი და ჩვენს ეკკლესიასაც მოაკლდა გულშემატკივარი მზრუნველი. დღეს ეს მონასტერი ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია. ეკკლესიის იქითა და აქეთა ფარდულები (სახურავი) დახურულია კრამიტით და გუმბათი-კი ფიცრით; ფიცარი ძალზედ დაძველებულია და წვიმას უშვებს ძირს. ეკკლესია თუ თუნუქით არ დაიხურა, შესაძლებელია წვიმამ სულ მთლად დაარღვიოს კედლები.

იმედია, ვისიც მოვალეობაა, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და იხსნის სრულებით დაქცევისაგან ამ ძირს-შესანიშნავს ისტორიულს ნაშთს.

კ. გძელი.

---

## მეურნეობა.

შორაპნის მაზრაში მდინარე ყვირილას მინდორზედ სამი დესეტინა და ექვსი ოთხკუთხი საჟ. მიწა მოამზადეს ამერიკელ ვაზის გასაშენებლად. ნახევარი დესეტინა ამ ადგილისა უჭირავს შენობებს, ეზოს და გზას, ორ დესეტინაზედ გაჭრილია კვლები ორმოცის სხვა-და-სხვა ნიმუშის ამერიკელის ვაზისა და ნახევარი დესეტინაც დათმობილი აქვს ხილებს და გასამშვენიერებელს მცენარეებს. ამერიკელი ვაზის თესლი პირველად ჩაყრილი იყო 1891 წელს. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნებართვით 1893 წელს საქართველოს საფილოქსერო კომიტეტმა გამოიწერა საფრანგეთიდგან სამი-აოასი რქა „Riparia“-ს ვაზისა, აგრეთვე წარსულს წელს შეიძინეს რამდენისამე ჯიშის ვაზი. 1893 წელს გლეხებისაგან უფასოდ ხუთის წლით დათმობილს სხვა-და-სხვა ნიადაგიანს მიწაზედ ამყნეს ჩვენებური ვაზის რქა ამერიკელ ვაზზედ.

ამ წელს ქუთაისის ოლქში სოფ. სვირში აყალოიან ნიადაგზედ, სოფ. როდინაულში—ოქროს ფერ ნიადაგზედ, შორაპნის ოლქში სოფ. საქარაში—კირ-ნარევ ნიადაგზედ და სოფ. უბისში—ფხვიერ ნიადაგზედ საცდელად ჩაყარეს ვაზის რქა. ვაზის მოსაშენებლად საცდელი ადგილები ამ წლის პირველ იანვრამდე 1,600 ოთხკუთხი საჟენი იყო.

საქარაში დაარსებულია ქიმიური ლაბორატორია და მეტეოროლოგიური მეორე ხარისხის სადგური. ლაბორატორიაში მეხანიკურად, ფიზიკურად და ქიმიურად გამოიკვლიეს შორაპნისა და ქუთაისის მაზრის ნიადაგი.

---

## ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ხშირად შევხვდებით, რომ ერთი და იგივე წიგნები ჩვენს მთარგმნელებს ორსა და სამს უთარგმნიათ. ამისათვის ვაცხადებ, რომ ჩვენ შევუდგევით ამ ჟამად 1, „ანდერსენის ზღაპრების“ გამოცემას ნახატებით. წიგნი გამოვა წვრილ-წვრილ წიგნაკებად სახალხო და საყმაწვილო და ბოლოს ყველა ესენი რამდენიმე ტომად იქნება გამოცემული, როგორადაც არის ეს წიგნი გამოცემული რუსულად. თარგმნა ზემოხსენებულის წიგნისა დაწყებული აქვს თავ. ი. პ. ნაკაშიძეს და კნ. ნ. ნაკაშიძისას.

2) „ისტორია კულტურისა“ —ლიპერტის, 80-დე ნახატით, თარგმანი კ. ყიფიანისა.

3) იბეჭდება და მალე გამოვა „ტორკვემადა“ დრამა ხუთ მოქმედებად ვიქტორ ჰუგოსი, თარგმანი კ. ყიფიანისავე.

4) ბ. ვ. წ. დაგვპირდა თარგმნას ზოგიერთ ცხოველების ცხოვრებისას

---

ლეჭევრი. მაშინ ბურნუთის კოლოფი გადისროლა, წამოდგა ფეხზედ და დამიყვირა: რადგან ეგრეა, მე თითონ ვეტყვიო, მე ხომ ვერ გამომაწრავს თვალებსაო!..

კატრინ. ეგ ვინ იცის! ვნახოთ...

ლეჭევრი. დღეს საღამოზედ, ან ხვალ დილით დაგიბარებს და გიბრძანებს... ნეტავი ვინ გიჩივლა... იმპერატრიცას ხომ არა უთქვამს-რა?..

კატრინ. აბა რას ამბობ? იმპერატორს ნიადაგ ეჩურჩულებიან მისი დები... ამათ მე საშინლად ვძულვარ, რადგანაც ნაპოლეონის პირველი ცოლის, ჟოზეფინის ერთგული ვიყავ და ესენი ხომ საცოდავი ჟოზეფინის მტრები იყვნენ. (ჩქარა გადადის მეორე მხარეზედ) დაემალნენ თავისს ძმა იმპერატორს თორემ ახლაც თავის კუნძულზედ იქმნებოდნენ და ლობიოს მიირთმევდნენ!.. მე ეს ერთჯერ ყველაფერი აშკარად ვუთხარი მარკიზ როვიგოს ცოლს:

ლეჭევრი. ვისა? როვიგოს ცოლს?

კატრინ. ოჰ მოვერიდები მე შენ გეტყვი!

ლეჭევრი. ახლა-კი მესმის საიდგან ჰქრის!!

კატრინ. აკი გითხარ, მემტერებიანმეთქი... ეხლა უთუოდ აფოფინებული არიან და დღესასწაულობენ ჩვენ გაყრას... მაგრამ, ვნახოთ!

ლეჭევრი. სწორედ იმათი ხრიკებია და, იცი, იმპერატორმა კიდეც გამომირჩია საცოლე...

კატრინ. ჩემ—მაგიერი?

ლეჭერი. (იცინის) დიაღ!

კატრინ. ვინ არის? ვინ? სთქვი?.

ლეჭევრი. ვერ გეტყვი, რაღაც საძაგელს უზამ!

კატრინ. პატიოსანს სიტყვას გაძლევ, რომ არა!..

ლეჭევრი. გიცნობ!..

კატრინ. დამიჯერე-მეთქი—არაფერს ვაწყენ! (ხელს ლოყაზედ ჩამოუსვამს) ჩემო ლამაზო, ჩემო კეთილო გუგულო, მითხარ ვინ არის? (იცინის).

ლეჭევრი. მიხვდი!!

კატრინ. ვიცნობ-კი?..

ლეჭევრი. იცნობ!..

კატრინ. ლამაზია?

ლეჭევრი. (იცინის) მაიმუნია და გამხდარი, როგორც ნაფოტი!

კატრინ. ასე გეკადრება შენ! (უჩქმეტს ხელზედ) დიდი კაცის შვილია?

ლეჭევრი. მეფის შთამომავალია...

კატრინ. მერე ხელზედ რომ ამოწვარი წარწერა გინახოს „სან-ჟენი სიკვდილამდისო„?

ლეჭევრი. დალახვროს ეშმაკმა, ეგ-კი სრულებით გადამავიწყდა!.

კატრინ. რანაირად დაილმიჭება? და შენ-კი, შენ? „სიკვდილამდის“ გესმის ეგ შენ, უზრდელო, „სიკვდილამდის“ (მოუხვევს) მე შენ თავს ვერავის დავუთმობ!.

ლეჭევრი. დაიცა, დამახრჩე..

კატრინ. სთქვი ახლავ, რომ კიდევ ისე გიყვარს შენი სან ჟენი როგორც წინად?

ლეჭევრი. მე... მე...

კატრინ. (ხელს გაუშვებს) მითხარ, რომ გიყვარვარ ისე, როგორიცა ვარ... ჩემის უხეირო გაუთლელ მანერებით.

ლეჭევრი. მანერების შესახებ... უნდა მოგახსენო...

კატრინ. რა გაეწყობა... მიპატიებია შენთვის... მიპატიებია (დაუკვრება მუხლებზედ და კალკოსუბა. ჟასმენ შემოდის... ახველებს), დასწყევლოს ეშმაკმა, აკი მოგვასწრო!

ჟასმენ. მისი ბრწყინვალება გრაფ ნეიპერს ჰსურს გაიგოს, თუ მიიღებს მას მისი უგანათლებულესობა.

კატრინ. რასაკვირველია, მობრძანდეს!

ჟასმენ. გავბედავ და მოგახსენებთ, რომ თქვენ შინაურულად ბრძანდებით ჩაცმული.

კატრინ. არა უშავს-რა! შინაურები ვართ. სთხოვე! (ჟასმენ გადის).

ლეჭევრი. ნეტა რამ მოიყვანა ეგრე უდროო დროს?.. (ნეიპერი შემოდის და ხელს ართმევს ორივეს).

გამოსვლა 7.

იგინივე და ნეიპერ (ავსტრიის ღენერლის მუნდირში).

ლეჭევრი. მობრძანდით, ძვირფასო გრაფო!

ნეიპერ. მართალს ვახლავარ!.

კატრინ. მომიტევეთ.. შინაურულად ვარ. (ნეიპერი ჩქარა მიდის და ხელზედ ჰკოცნის).

ნეიპერ. გთხოვთ ნუ მომერიდებით.. რა საჭიროა ეგ კეთილ და ერთგულ მეგობრებთ შორის! მეც იმიტომ მოურიდებლად მოველ ამ უდროო დროს.. მოველ გამოსათხოვრად..

კატრინ და ლეჭევრი. გამოსათხოვრად?

ნეიპერ. საუბედუროდ... მიბრძანეს წასვლა და დღესვე...

კატრინ და ლეჭევრი. გიბრძანეს?

ნეიპერ. რა გაეწყობა—მე ისე შეგეჩვიეთ, თითქმის ჩემს ოჯახათ ვთვლიდი თქვენს სახლს და ახლა-კი უნდა განგშორდეთ და განგშორდეთ სამუდამოდ...

კატრინ. სამუდამოდ?..

ნეიპერინ. მე ვეღარ დავბრუნდები საფრანგეთში.

კატრინ. რას ამბობთ?

ლეეჭვრი. ეგ რატომ (დასხდებიან)?

ნეიპერ. ნახევარ საათი არ არის მას შემდეგ, რაც დუკმა როვიგომ იმპერატორის ბრძანება გადმომცა—რომ დაღამებამდის გავიდე პარისიდგან, არსად არ შევჩერდე და თავის დღეში აღარ დავბრუნდე საფრანგეთში...

კატრინ. რა მიზეზია?

ლეჭევრი. რათ უნდა გიჯავრდებოდეს ეგრე იმპერატორი?

ნეიპერ. მთელი ჩემი დანაშაულობა ის არის, რომ „ერთგულება“ მახსოვს მარად ჟამს! დიდად ვაფასებდი საბრალო ენგიენის დუკის მეგობრობას: ეს კარგად იცის იმპერატორმა და თავის დღეში არ მიპატიებს.. ხშირად მაგრძნობინებს კიდეც თვისს სიძულვილს. როდესაც მარი-ლუიზაზედ დაქორწინდა იმპერატორი მას წარუდგინეს სია მხლებელთა, რომელნიც მარი ლუიზას უნდა წამოჰყოლოდნენ ავსტრიიდგან საფრანგეთში. ნაპოლეონმა ამ სიიდგან ჩემი სახელი ისეთის სიავით და სიძულვილით ამოშალა, თითქოს სურდა ჩემი ხელით შეხება! ამის შემდეგ ვიახელ აქ ჩვენს ელჩს თავად მეტერნიხს და როდესაც თვალი მომკრა იმპერატორმა ძლივს, მოახერხა თავის დაჭერა—სიბრაზისაგან არ იცოდა რა ექნა!. ერთი სიტყვით იმპერატორს ვძულვარ და სიხარულით ჩაავლო ხელი მისის პოლიციისაგან შეგროვილს ჰორებს.. მე ბრალსა მდებენ, ვითომ სასახლეში ვინმე მიჯნური მყავდეს!

კატრინ. აი რა ამბავი ყოფილა..

ლეჭევრი. უნდა იცოდე, ძვირფასო გრაფო, თუ რა მკაცრი აზრისა არის იმპერატორი მაგ საგანზედ!.

კატრინ. განსაკუთრებით მეორე ცოლი რომ შეირთო, იმის შემდეგ!!

„ბრემიდამ“ და ისიც წვრილ-წვრილ წიგნებად იქნება გამოცემული ნახატებით.

სასურველია სხვაც დაიწყებდეს თარგმნას ცხოველთა ცხოვრებისას, თორემ მარტო ერთი კაცი ბევრს ვერას გადმოსთარგმნის.

კ. თავართქილაძე.

## ყარსის (კარი) მიდამოების გათათრება.

(ნაამბობი სოფ. ვაიოში მაჰმადიან გოგიტიძეების მიერ).

ყარსი ძველად ქართველების ქალაქი იყო, მის გარშემო სულ ქართველები სცხოვრებდნენ. ყარსის იქითაც საქართველო ყოფილა. ოსმალებს ყველაზედ წინად ყარსის ქალაქი და სოფლები დაუჭერიათ; რამდენისამე ხნის შემდეგ თათრებს ქართველებისთვის გათათრება უთხოვნიათ. მაგრამ ქართველები არ დასთანხმებიან და ოსმალებთან ამის გამო ჩხუბი მოსვლიათ. ქართველებისაგან ძლიერ ბევრნი დახოცილან, ბევრნი საქართველოში გამოქცეულან, ბევრნი იქ დარჩენილან და საქმეს და ჩხუბებს ბოლო და დასასრული არ მისცემია. ამ დროს ყარსისკენ მდგარან გოგიტიძეები, ამათი სოფლები იქით ყოფილა. გოგიტიძეები აზნაურები ყოფილან მეფეების დროს და თათრებს ამის მაგიერ ალიობა მიუციათ. ერთი გოგიტაძეთაგანი მეტად შესანიშნავი კაცი ყოფილა, ხალხის მოყვარე და ქვეყნის ერთგული. ეს წასულა ოსმალებთან და უთქვამს:

— ბატონებო, ჩვენი რათ გეშინიანთ თქვენა, ჩვენი რის შიში გაქვთ, ჩვენს სჯულს რათ ეხებით, რათ გინდათ, რომ ჩვენ ჩვენი ძველი სჯული დაგვაკარგვინოთ, ამაებით უფრო ბევრს მტრებს გაიჩენთ თქვენა, სჯობს რომ ამდენი ხალხის ასე ჟლეტა-წყვეტას თავი გაანებოთ და ქვეყანას უპატრონოთ. ჩვენ თქვენი ერთგული ვართ. მე გაძლევთ პირობას, რომ თქვენ წინაალმდეგ სიტყვა, კრინტი არავინ დასძრას, ხმალი არავინ აილოს ხელში; ოღონდ თავი დაგვანებეთ, ჩვენს სჯულს თავი გაანებეთ. ხალხი ამაზედ სწუხს და სულ ამის გამო არიან უკმაყოფილონი, რომ ნუ გვათათრებენო. ოსმალთ მიუგეს ამას:

— ძალიან კარგი, ყველაფერს შევასრულებთ, მხოლოდ შენის სიტყვით და შენის დაპირებით და ისიც იმ შემთხვევაში, შენ თუ თათრის სჯულს მიიღებ; ეს იცოდე, რომ მაშინ ყარსის ფაშობასაც შენ მოგცემთ და ჰმართე აქაურობა ჩვენის ერთგულებით. ასეთი რჩევა გოგიტიძეს მოეწონა, ამან იფიქრა ამდენი ვაივაგლახები თუ ჩემის გათათრებით მოისპობა და მეც ფაშა გავხდები, მაშინ რა მიჭირს, გავთათრდები და ამით ქვეყანასა და ხალხს მაინც ავაცდენ დიდს უბედურებასაო. ამიტომ ეს კაცი მალე გათათრებულა. ამისთვის სახელად სეიდ უწოდებიათ და ყარსის ფაშად დაუდგენიათ. სეიდ ფაშა გოგიტიძე ძლიერ შესანიშნავი კაცი ყოფილა და თავისს საქმეებიც კარგად უმართავს, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, სეიდ ფაშას გათარების შემდეგ, რომ ოსმალის ფადი-შაჰისაგან ბრძანება მოსულა, რომ ქართველები მთლად უნდა გაათათროთ, ჩემს სამეფოში ყველა თათარი უნდა იყოსო. ამ ამბავს ხალხი არ დაჰყაბულებია. სეიდ ფაშასთან მისულან და უთქვამთ, ეს რა ამბავი არის, დაგვიმორჩილეს, ფეხი გაიმაგრეს, ყოველივე ჩვენი საიდუმლოება შეიტყეს და ახლა გათათრებას გვეუბნებიანო, ეს რა ამბავიაო. სეიდ-ფაშა მიმხრობია ქართველთ და ამათ ოსმალთა წინაალმდეგ ჩხუბი დაუწყიათ. ჩხუბში დიდძალი ქართველობა გამწყდარა, მაგრამ არც ოსმალთ დასდგომიათ კარგი დღე, ესენიც მრავალი დახოცილა. ოსმალთ მალე მოჰშველებია ოსმალოს ახალი დასვენებული ჯარი და ამათ გაუმარჯვნიათ. ქართველები ძლეულან და ამ ძლევის დროს სეიდ-ფაშა გოგიტიძე თავის ხალხით აჭარაში გამოქცეულა, რადგანაც აჭარა მაშინ საქართველოსი იყო, აქ ქართველი მეფე იჯდა. ყარსიდგან მოსული სეიდფაშა გოგიტიძე აჭარის სოფ. ვაიოში დასახლებულა. აქ გაუმაგრებიათ თავი და აქედგან უბრძოლიათ ოსმალთ წინაალმდეგ. აჭარელთ დიდი ხანი შეუნახავთ თავი. ყარსისკენ-კი მთლად გამწყდარა ქართველობა ომში და ვინც დარჩენილან, იმათ უმეტესი ნაწილი გათათრების გამო დაუხოციათ ოსმალთა და ვინც დარჩენილან, ბოლოს ესენიც გათათრებულან. თათრების შემდეგ ოსმალთ ქართველებს ხოჯა-მოლლები გამოუგზავნეს, ეკკლესიები დაუქციეს, მღვდლები გამორეკეს, ზოგი დახოცეს და ვინც ქართულად ლაპარაკობდა, იმათ კიდევ აღუკრძალეს, რომ დღეის შემდეგ ქართულად ლაპარაკი არ გაბედოთ თქვენ, თორემ დაგხოცავთო. ახალ გათათრებულთ ძლიერ ეშინოდათ, რადგანაც ამათ მომხრე და ქომაგი არ ჰყავდათ და ამიტომ ძალა-უნებურად თათრულს ენაზედ ლაპარაკობდნენ. ნელ-ნელა თათრულს მიეჩვივნენ და ქართული მთლად დაავიწყდათ, ასე რომ დღეს ყარსისაკენ ქართული აღარავინ იცის. მას შემდეგ, ჩვენ გოგიტიძეები, სეიდ ფაშასი და მის ძმების შთამომავალნი ვსცხოვრებთ ვაიოში და ჩვენში ძველმა კაცებმა ამ სეიდ ფაშა გოგიტიძის ქართველთ გათათრების შემდეგ ბევრი ძველებური ამბები იცოდნენო.

ზ- ჭ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

არა ერთხელ დაბეჭდილა რუსულს გაზეთებში კრონშტადში ჩამოსულ მლოცველთა შესახებ სხვა-და-სხვა საოცარი ამბავი. ამ საგნის შესახებვე „კრონშტად. ვესტნ“.-ის უკანასკნელს ნომერში არის დასტამბული ბ. გორემიკინის წერილი. ბ-ნს გორემიკინს დიდ ხანს უცხოვრია კრონშტადში და კარგად შეუსწავლია მლოცველ ქალთა ცხოვრება. ეს ქალები გაუტაცნია ფანატიზმსა და მწვალებლობას და სხვებსაც იტაცებენ თურმე. მათის ფიქრით მამა იოანე კრონშტადტელი—მაცხოვარია და თვისს ვინაობას არ აცხადებს მხოლოდ იმიტომ, რომ ანტექრისტთა დევნას ერიდება. ანტექრისტებათ ქალები სთვლიან სამღვდელოებასა და მთავრობას. ამ მლოცველთა წინაალმდეგ სხვა-და-სხვა საშუალება იხმარეს, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. ორის წლის წინად მამა იოანნემ სასტიკს ღონისძიებას მიჰმართა: მისის ბრძანებით ფანატიზმისა გამო გზა-აბნეულნი განდევნეს მლოცველთათვის თავშესაფარებიდგან, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. მლოცველნი იმ ზომამდე არიან გატაცებულნი, რომ იოანე კრონშტადტელის პორტრეტი ხატებთან ერთად ჩამოუკიდნიათ და თაყვანსა-სცემენ. თვით მამა იოანეს ბევრჯელ ჩამოუგლეჯია ეს პორტრეტები და გაბრაზებით დაუხევია. თაყვანსას-ცემენ აგრეთვე მოძღვრის ქუდსა, ქურქსა და გალოშებს.

## ნარკვევი

საფრანგეთის საზოგადოება ძლიერ შეწუხებული იყო კილის დღესასწაულზედ გემების გაგზავნით, მაგრამ ახლა არა თუ დამშვიდდა, კიდევაც მოხარულია იმ გარემოებით, რადგანაც კილის არეში რუსეთისა და საფრანგეთის გემები ერთად შევიდნენ. „ნოვ. ვრ.“ კორესპონდენტი აღგვიწერს, თუ რა შთაბეჭდილება იქონია პარლამენტის დეპუტატებზედ ესკადრათა შეხვედრამ,

„როდესაც პარლამენტში მივედი, სადაც მეტად მოსაწყენი სხდომა იყო ამ დღისთვის დანიშნული, ყველა მეტად მხიარულად დამიხვდა აქ, ვისაც-კი შეჰხვდებოდი, ოდროშიყველას პირზედ ღიმილი უკროდა, თითქოს ეს-ეს არის ორასი ათასი მანეთი მოუგიაო. ყველანი იმის შესახებ ლაპარაკობდნენ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა კილში შეკრებილ ყველა ერთა ფლოტზედ ორ მეგობარ ერთა ესკადრათა მისვლა; უფრო-კი იმიტომ, რომ ეს მოხდა სწორედ მეორე დღეს გარეშე საქმეთა მინისტრის ჰანოტოს მიერ სამახსოვრო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ. ბევრი მეუბნებოდა: „იქნებ ახლა აღარც-კი უხარიანთ გერმანელთ რომ თვისს დღესასწაულზედ მიგვიწვიეს?!“

დეპუტატები სწუხდნენ, რომ ტყუილად შეაწუხეს ჰანოტო შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ კამათის გამოწვევით. „თურმე ჩინეთს ჩვენთვის ზემო მეკონგი დაუთმიაო,“ თავს ინუგეშებდნენ დეპუტატები.

„ერთმა საფრანგეთის ჟურნალისტმა, განაგრძობს კორესპონდენტი, მთელი დასტა რუსეთის გაზეთებისა გადმომცა და მთხოვა, გვიამბე, რასა სწერენ თქვენი გაზეთები ჰანოტოს შესახებაო. ერთ წამს ჩემს გარემო შეგროვდა მრავალი დეპუტატი.—გვითხარით, არის თუ არა მანდ მოყვანილი სიტყვა „კავშირიო“, მეკითხებოდნენ აქეთ-იქიდგან.—არის-თქო, ვუპასუხე მე. აი გამამტყუნებელი საბუთი იმ გაზეთებისათვის, რომელნიც ამტკიცებდნენ, ვითომც ჰანოტოს სიტყვის ამ ადგილის მოყვანა რუსეთის მთავრობამ აკრძალაო.“

საფრანგეთის საზოგადოება მეტად ასიამოვნა იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ესკადრის უფროსმა საფრანგეთის გემებს პირველი ადგილი დაუთმო, რადგანაც საფრანგეთის ესკადრის უფროსი მენარი ერთის ხარისხით მაღლა სდგას რუსეთის გემების უფროსზედ. ყველას ასიამოვნა აგრეთვე სკრიდლოვის გაგზავნამ კილში. საზოგადოდ საფრანგეთი გახარებულია და დარწმუნებულია, რომ რუსეთთან კავშირით არის შეკრული.

---

ნეიპერ. (ჯიბიდგან ამოიღებს ქაღალდს) აი ჩემი პასპორტი, გთხოვთ შეამოწმოთ... თუ შეიძლებოდეს მალე, რადგან ყოველი წამი ჩემთვის ძვირად ღირს!.

ლეჭევრი. ეხლავე... მე თითონ დავამოწმებ. (ხელს მაგრად ართმევს და გადის თავისს ოთახში.)

გამოსვლა 8.

კატრინ და ნეიპერ.

კატრინ. მობრძანდით აქ ჩემთან! გსურთ თუ არა როგორც კეთილი მეგობარი გულით მომელაპარაკოთ?

ნეიპერ. დიდის სიამოვნებით!

კატრინ. თქვენი რომანი... უბრალო მიჯნურობაა ხომ?

ნეიპერ. (ყოყმანით) რასაკვირველია!..

კატრინ. ნუ სტყუით... თქვენს თვალებში ისეთი მწუხარება იხატება, რომ მე ვერ დამაჯერებთ...

ნეიპერ. მომეცით ნება...

კატრინ. (ჩქარა) მე არ მინდა შევიტყო ვინ არის... მაგრა მარც ის მსურს, რაიმე ხიფათში გაიბათ თავი...

ნეიპერ. რაზედ ლაპარაკობთ?..

კატრინ. (ხელს ხელზედ დაადებს) მართლა მიდიხართ?

ნეიპერ. თხუთმეტის წამის შემდეგ! ეტლი მზად არის...

კატრინ. და თქვენ გსურთ იმის უნახავათ წახვიდეთ? არ გინდათ გამოეშვიდობოთ? გამიგონეთ, ნუ მიმალავთ, მე თქვენი ძველი მეგობარი ვარ და შეგიძლიანთ ყველაფერი გამიმჟღავნოთ!!

ნეიპერ. (ყრუ ხმით) რადგან ეგრეა... თქვენი ნებაა... არ მივდივარ!..

კატრინ. ვიცოდი ასე იქნებოდა.

ნეიპერ. მხოლოდ გევედრებით, ჩვენს შორის დარჩეს! თქვენ მიმხვდარი ხართ, აქ უბრალო, წუთიერი რამ კი არ არის, სადაც გული არაფერ შუაშია, არამედ ნაღვლით, მწუხარებით აღსავსე მთელი ჩემი ცხოვრება!ა! იმ ქალს, რომელსაც დღეს ხელმეორედ მაშორებენ, მე ბავშვობიდგან ვიცნობ და მთელი ჩემი არსება იმის სიყვარულით სულდგმულობს, თუმც იგი განშორებით დიდის ხარისხისა იყო, მაგრამ ყოველთვის იმედი მილვივოდა გულში და ვოცნებობდი, სანამ...

კატრინ. სანამ ქმარს არ მიათხოვეს?

ნეიპერ. დიაღ!

კატრინ. ქმარმა იგი საფრანგეთში წამოიყვანა?

ნეიპერ. დიაღ!

კატრინ. (მაიწევს) მეტერნიხის ცოლია?

ნეიპერ. (ჩქარა) არა... რამ გაფიქრებინათ?

კატრინ. (ჩუმად) გრაფის ესტარგაზის ცოლია?

ნეიპერი. (მწუსარების ღიმილით) აკი არ გინდათ სახელის შეტყობა?!..

კატრინ. მართალი ხართ... მაგრამ ქალი არ ვიქნებოდი, რომ ასეთი სურვილი არ დამბადებოდა... მაშ კარგი... თქვენ იმას მოჰყევით პარისში... ნახულობთ ხოლმე?..

ნეიპერ. იშვიათად... მარტოკას არ შევხვედრივარ... ასი თვალი უდარაჯებს და მთელის თვის განმავლობაში მხოლოდ ორი თუ სამი სიტყვის თქმა მოვასწარი.

კატრინ.. მაშ ქმარი ვერაფრად ენდობა!. მართალიც არის! მაშ იმისი ქმარია აქედამ რომ გისტუმრებთ!

ნეიპერ. დიაღ.. დღეს ნასადილევს ისეთი ამბავი დაუჟია...

კატრინ. ეგ საიდგან შეიტყეთ?

ნეიპერ. თითონ ქალმა მითხრა.. კონცერტის დროს მომიახლოვდა გაფითრებული, ცახცახით და წამჩურჩულა: „საშინლად დამტუქსა თქვენ გამო. ისე ნუ წახვალთ, რომ არ მომელაპარაკოთ!

კატრინ. მერე სად უნდა შეხვდეთ და მოელაპარაკოთ?

ნეიპერ. ახლა არსად, მაგრამ აი რა მოვიფიქრე: მე წავალ ახლავე. ცოტა მანძილს რომ გავივლი, შევაჩერებ ეტლს და იქიდგან ტყე-ტყე დავბრუნდები სასახლეში, აქ მე დამხვდება ერთი იმისი ერთგული ქალი და იმის შემწეობით...

კატრინ. და ნამდვილად, თქვენც, იმ ერთგულ ქალსაც, თქვენს სატრფოსაც ყველას ერთად ხაფანგში გაგაბმენ!..

ნეიპერ. ძალიან ფრთხილად ვიქნებით.

კატრინ. რას ამბობთ, რას? შეშლილხართ..

ნეიპერ. უნდა ვინახულო.. უარს ხომ ვერ ვეტყვი.

კატრინ. კარგი რანდეუ იქნება, თქვენმა მზემ. არა.. არა... დეე, გიცადოს, ისა სჯობია, ვინემ სამივე მახეში გაებათ..

ნეიპერ. თქვენ გავიწყდებათ ქალბატონო, რომ მე მიყვარს ის ქალი და ვერასოდეს ვეღარ ვნახავ!...

კატრინ. ეგ ყველაფერი ვიცი! (ხელს მოჰკიდებს) და გთხოვთ, მაგ საქმეს თავი დაანებოთ... შეუძლებელია!.. მაგითი სევდას ვერ განიქარვებთ და წაგებით-კი შეიძლება სიცოცხლე წააგოთ. ესეც არ იყოს... ეგ უპატიოსნებაა... თქვენა გსურთ ქმრიანის ქალის სახელი შებღალოთ! დიაღ, ეგ არის კეთილ-შობილური საქციელი!..

ნეიპერ. (სიჩუმის შემდეგ) ეგ თქვენ გაწუხებთ?

კატრინ. ძალიან!

ნეიპერ. და გნებავთ დაგამშვიდოთ?

კატრინ. დიაღ.

ნეიპერ. და მოგცეთ პატიოსანი სიტყვა, რომ უარი ვსთქვა?

კატრინ. სიტყვის მოცემა არ კმარა, უნდა აღასრულოთ...

ნეიპერ. (ადგება) ძალიან კარგი... თქვენი ნება იყოს!...

კატრინ. გარდაწყვეტილი?..

ნეიპერ. უთუოდ!..

კატრინ. წახვალთ და არ დაბრუნდებით?

ნეიპერ. წავალ და არ დავბრუნდები.

კატრინ. აი ეგ მომწონს! (მაგრად ხელს უჭერს) ვერ წარმოიდგენთ, როგორ მასიამოვნეთ... თორემ მთელი ღამე არ დამეძინებოდა. (ლეჭევრი ნელა შემოდის, ნეიპერი წინ შეხვდება).

გამოსვლა 9.

კატრინ, ნეიპერ და ლეჭევრი.

ლეჭევრი. მზად არის, ჩემო მეგობარო, მაგრამ ვინ მოიფიქრებდა, რომ მე მხვდებოდა წილად ესეთი სამწუხარო მოვალეობა...

ნეიპერ. (შეინახავს ქაღალდს) გმადლობთ, მარშალ!.

ქასმენ. (შემოდის) მისი უგანათლებულესობა დუკი ოტრანტისა.

კატრინ. ფუშე? თუ ღმერთი გწამთ, იმასთან არაფერი წამოგცდეთ! (ფუშე შემოდის).

კ. მესხი.

(შემდეგი იქნება).

# უცხოეთი

**ავსტრი უნგრეთი.** ვინდიშგრეცის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და შესდგა ახალი სამინისტრო. სამინისტროს მეთაურად იმპერატორმა აირჩია ნაკლებად ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გრაფი კილმანსეგი. ახალი სამინისტრო დროებით შესდგა, მას მიენდო მხოლოდ ხარჯთ აღრიცხვის საქმის გათავება პარლამენტში. პირველს სხდომაზედვე ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა გამოუცხადა პარლამენტს, რომ სამინისტრო მხოლოდ მიმდინარე საქმეებს განაგებს და ბიუჯეტს დაასრულებს; სანამ მთელი ბიუჯეტი წარედგინებოდეს პარლამენტს, ფინანსთა მინისტრი წარმოადგენს ივლისის თვისთვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვას და მთავრობა სთხოვს პარლამენტს ამ დროებითის ბიუჯეტის შეწყნარებას.

**საფრანგეთი.** ყველას ყურადღება მიქცეულია კილის დღესასწაულზედ და იმ ხმებზედ, რომელიც შეხება რუსეთისა და საფრანგეთის ხელშეკრულობას. ამბობენ, რომ ზოგიერთი დეპუტატები ითხოვენ ოფიციალურად გამოცხადდეს ეს ხელშეკრულობა, მაგრამ მთავრობა ამის წინააღმდეგიაო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვ „ივერიის“ საშუალებით უკლდა იმ პირთ, რომელთაც ან დაწყებული და ან განზრახვად აქვთ თარგმნა მის. ხელთუფლიშვილის გამოკვლევისა „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи“, ვაცნობო, რომ მე უკვე გადათარგმნილი მაქვს ეს ისტორიული გამოკვლევა და დაბრუნებისათანავე ცალკე წიგნაკად გამოცემას ვაპირობ.

ვლ. კ—ლი.

ქ. კიევი.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ასკანის საერო წიგნთ-საცავს ფულით თუ წიგნებით:

ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შემოსწირა 6 ცალი ქართული წიგნი, თავ. ნიკოლოზ ერისთავმა 5 მანეთი, თავ. გიორგი ორბელიანმა 3 მანეთი, ასკანის სკოლის მასწავლებელმა იოსებ ჭუბაბრიამ შემოსწირა 5 მანეთი, დაუგზავნა ამ წლის „ნიკა“ წარსულის წლის დოსტოევსკის 12 წიგნით, რომელიც უკვე მივიღეთ, კონსტანტინე ჩითანის მე თავართქილაძემ 30 ცალი ქართული წიგნი და აღუთქვა კიდევ შემწეობა, პელაგია თალაკვაძისამ 23 ცალი ქართული წიგნი, ანტონ ბესარიონის მე ჩხაიძემ დაბადება (ბიბლია) პირველი და მეორე ნაწილი, მელიტონ ტიმოთეს მე კიღურაძემ პირველი ტომი ალ. ყაზბეგისა, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებათა, იოსებ გვეტესიანმა 2 მანეთი, ილია ხარავამ 2 მანეთი და გარსევან რატიანმა 2 მ.

გამგე ბიბლიოთეკისა სოლომონ მჭეიშვილი.

95 წ., 15 ივნისი.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტოროჟან შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—10)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერს ქაღალდზედ
კნ. ნინო ორბელიანის
**ლექსები.**
ფასი 50 კაპ.
მსურველს შეუძლიან მიჰმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალსენაკში.

**ჩინებული ქუთათური კირი,**
რომელიც საკვირველი თეთრია შენობისათვის დიდად გამოსადეგი და მტკიცე. იყიდება ვაგონებით ტფილისის ვოკზალზედ—19 კაპ. ფუთი.
ამბის შეტყობა შეიძლება ინჟენერ ლავდანსკისთან: დიდი ვოლოვოზის ქუჩა, № 24 (ლალაევის სახლი).

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
**მარი ბროსსეს**
საქართველოს ისტორია.
ნაწილი პირველი, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემა ნიკ. ღოღობერიძისა. ფასი 70 კაპ.

(5—5).

დაიბეჭდა და ისყიდება ვახუშტის-მიერ შედგენილი
**საქართველოს**
გეოგრაფიული
**ქარტა**
II წიგნი
გამოც. მ. ჯანაშვილისა. ფასი 25 კაპ.
ისყიდება აგრეთვე: „სამცხე“ (ფ. 25 კ.), „საქართ. ისტორია“ (ფ. 70 კ.), „საქართ. სიძველ. ისტ.“ (ფ. 45 კ.), „ისტ. მართალ-მადლი. მაკ.“ (ფ. 40 კ.), „საუნჯე მე-X საუკ.“ (ფ. 20 კ.).

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—9)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.
**დამზღვევი საზოგადოება**
**„როსსია“**
ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან
საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**
მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:
1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)
მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**
როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**
ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**
ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემეუწოდასადგურებზედ.

50—6—30

**დამზღვევი საზოგადოება**
**„იაკორი“**
(ღ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.